საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მიქაბერიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
დიახ (circled)   არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის, კანდიდატის - ნიკოლოზ მარსაგიშვილის, წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, ამავე სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 2 ივლისის №1/53 განკარგულების საფუძველზე, სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძვლიანი შესწავლის, მათ შორის, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ ნიკოლოზ მარსაგიშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. საგულისხმოა, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი შეფასებულ მყავს 93 ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 93% შეადგენს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთიანი, შემაჯამებელი ოქმის შესაბამისად, კანდიდატმა დააგროვა 1302 ქულა, ანუ მაქსიმალური შეფასების 93% და რეიტინგის მიხედვით დაიკავა პირველი ადგილი.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად 2024 წლის 1 აგვისტოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირე ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურას, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია მოსამართლის მაღალი წოდებისთვის შესაფერისი ქცევა,

სათანადო პროფესიული გამოცდილება, პიროვნული და საქმიანი რეპუტაცია, კომპეტენცია და ა.შ.. შესაბამისად, ის სათანადო პასუხისმგებლობით შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

1 ---------- 2024 წელი